პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № ----

2022 წლის------ აგვისტო

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2022 წლის I– II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2022 წლის I– II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2022 წლის I– II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2022 წლის I– II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

შეთანხმებულია

კომისიის თავმჯდომარე რ. დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-48222163**
თარიღი: **04/08/2022**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,
წარმოგიდგენთ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

ანგარიში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მუნიციპალური ქონების მონაცემთა ბაზის შექმნას და განახლებას; სახელმწიფო საკუთრების ქონების მუნიციპალურსაკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაზე ზედამხედველობას, წინადადებებისა და საჭირო და საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას მუნიციპალური ქონების შექმნის, შეძენის, პრივატიზების ან სარგებლობაში გადაცემის საკითხებზე;რეკომენდაციების შემუშავებას მუნიციპალური ქონების პრივატიზებასა და სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით; მუნიციპალური ქონების საპრივატიზებო ნუსხის პროექტის მომზადებას; საპრივატიზაციო ან სარგებლობით გადასაცემი ქონების დოკუმენტაციის მომზადება; საჯარო და/ან ელექტრონული აუქციონისათვის სათანადო დოკუმენტაციის მომზადებას; შეიმუშავებს წინადადებებს მუნიციპალიტეტის ძირითად (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების შესახებ. ახორციელებს ასევე კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ შესრულებული იქნა შემდეგი სამუშაო:

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის განხორციელების მიზნით 4 მოქალაქეს გადაეცა ფართობი საკუთრებაში და გაიცა შესაბამისი საკუთრების მოწმობები.

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში გაგზავნილია მოთხოვნა სხვადასხვა უძრავი ქონებების მუნციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის თაობაზე. სახელმწიფოდან დამატებითი ქონების სახით გადმოგვეცა შემდეგი ქონება: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მდებარე 36203 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 29.10.33.501), რომელიც ესაჭიროებოდა მუნიციპალიტეტს სასაფლაოს მოსაწყობად).

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში მდებარე 57.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მესხეთში მდებარე 30377.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (დანგრეული).

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში მდებარე 292.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში მდებარე 54.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებას გადაეცა სოფელ გვიშტიბში მდებარე უძრავი ქონება ს/კ29.07.35.068.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფურჩხეთში მდებარე შენობაში (საკ.კოდი N29.03.35.215) განთავსებული 74.87 კვ.მ. ფართი გადაეცა ოჯახის ექიმს გია ხურციას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში მდებარე შენობაში (საკ.კოდი N29.05.37.233) განთავსებული 77.08 კვ.მ. ფართი გადაეცა ოჯახის ექიმს დალი კეთილაძეს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურში მდებარე შენობაში (საკ.კოდი N29.04.38.054) განთავსებული 47.48 კვ.მ. ფართი გადაეცა ოჯახის ექიმს მაია კვატაშიძეს.

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერიანებას'' უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა ,,მერსედეს ბენცის'' მარკის სპეციალიზებული ნაგავშემკრები ავტომობილი მასზე ზედდადგმული ჰიდრავლიკური წნეხით.

ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებითა და მოთხოვნის საფუძველზე შპს ,,დატაკომს'', სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის უფლებით გადაეცათ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაზობრივი ნაგებობები-გარე განათების ბოძები, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის-ინტერნეტის გატარებისთვის მოსახლოების მომსახურების მიზნით.

ელექტრონული აქუციონის ფორმით პრივატიზებულ იქნა 3 ერთეული ქონება, ბიუჯეტში შესულმა თანხამ პრივატიზების შედეგად შეადგინა 39 752ლარმა.

შენობა-ნაგებობების იჯარიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 36,808 ლარი, ხოლო მიწის იჯარიდან- 5770 ლარი, ჯარიმით შემოსულმა თანხამ შეადგინა - 258,6 ლარი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია 37 მუნიციპალიტეტიდან ოთხ მუნიციპალიტეტთან ერთად შერჩეულ იქნა ინოვაციების პროექტის განსახორციელებლად ურბანული წარმოსახვის შესახებ პროექტში. სწავლების დასრულების შემდგომ მუნიციპალიტეტი მიიღებს გრანტს 60 000 ევროს.

სამსახურის მიერ ტარდება ადმინისტრაციული წარმოება სახელმწიფო რწმუნებულის აპარატიდან შემოსულ წერილებზე მიწის ნაკვეთების პრივატიზებასთან დაკავშირებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამსახური ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით, მერის დავალებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.